



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიბერალურო ნახატობიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 48

ნოემბერი 17 1896 წ.

№ 48

შინაარსი: † თ. ნიკოლოზ ტარიელის ძე დადიანი. (ნიკოლოგი) უმნიშვნელო მეგობარისა.—სხვა-და-სხვა ამბავი.—თ. ნიკოლოზ ტარიელის ძის დადიანის ზოგიერთი დაუსტამბავი ლექსები.—„კვალის“ კორესპონდენტები. უცხოეთიდან: სოფელი და სასოფლო სკოლა გერმანიაში, (შემდეგი) საზღვარგარეთელისა.—ვილიამ მაკ-კინლეი მ—სა.—ჭლეჭი გ. ბადრიძისა. წერილი რედაქციის მიმართ მლ. დომოდე ჩხაიძისა.—უცხოეთის ხრონიკა მ—სა. და განცხადება.

† თ. ნიკოლოზ ტარიელის ძე დადიანი.

(მოგონება).



† თ. ნიკოლოზ ტარიელის ძე დადიანი.

**ს**ანსვენებული ნიკოლოზ ტარიელის ძე დადიანი იყო ერთი იმ სასარგებლო მამულის-შვილთაგანი, რომლებიც ათასში და ათათასში მხოლოდ თითო-ორი იხადებოდა. სულ ორი წელიწადი იქნება რაც გავიცანი ეს პატივცემული პირი, და პირველ საუბრიდანვე მიიზიდა მან ჩემი გული. მოგახსენებთ გულ-ანდით: მე ვცნობ თითქმის ყველა ჩვენ საუკეთესო ლიტერატორებს და მოღვაწეებს, მაგრამ არავისთან არ მიგრძენია ისეთი თავისუფლება, ისეთი გულწრფელობა, რასაც ვგრძნობდი ნიკოლოზის წინა საუბარში. ოჰ, ის ხმები არ გავდა თანამედროვე ქართველის ხმებს! ის ხმები იყვენ უფრო საიმედონი და საამო სასმინარნი...

თქმულა, სიტყვა სარკეა, რომელშიაც გამოიხატება მთელი შინაგანი სულიერი ავებულება ადამიანისა. ნიკოლოზ დადიანის სიტყვებშიაც კაცს ნათლათ შეეძლო დაენახა ამ პატიოსანი ადამიანის სუ-

ლის ძლიერება, ხასიათის სიმტკიცე და გულის სიწრფელე, და სწორეთ ამიტომაც ჰქონდა იმას ყველაზე ასეთი გასაოცარი გავლენა.

ბევრი ამ გვარი ტკბილი წამები გამიტარებია განსვენებულ ნიკოლოზის საუბარში, არამც თუ მართა მე სხვებსაც...

განსვენებულმა შეიტანა თავისი წვლილი ქართულ მწერლობაშიაც და საზოგადო საქმეშიაც. მას აქვს დასტამბული ჯერ „დროებაში“ და შემდეგ „ივერიაში“ ბევრი შევნიერ შინაარსიანი ლექსები, აქვს ერთი წიგნაკი „სიტყვა-საქმეთ“. სამშობლო გლობის აღდგენაზე. იგი იღებდა ეგრეთვე მხურვალე მონაწილეობას „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შესწორებაში. საზოგადო საქმეებშიაც არა იშვიათათ იღებდა იგი მონაწილეობას. სხვათა შორის, რამდენსამე ხანს პატიოსნათ განაგებდა ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის საქმეებს. მაგრამ ყველა ეს მოღვაწეობა სრულიად არ შეეხამებოდა იმ დიდებულ სულს, რომელიც მკვიდრობდა ნიკოლოზს დადიანში. მისგან მოსალოდნელი იყო უფრო დიდი საქმე, უფრო ბრწყინვალე მოქმედება. საზოგადოთ ორ გვარი ადამიანები იბადებიან ქვეყანაზე: ზოგი მეტათ ძლიერია და ნიჭიერი მხოლოთ პრაქტიკულ მოქმედებაში, ზოგი კი გმირია მხოლოთ თეორიულ აზროვნებაში, ფილოსოფიაში და მეტათ სუსტი საქმეში. ამ უკანასკნელთა ჯგუფს ეკუთვნოდა ნიკოლოზს დადიანიც. იგი არ იყო გაჩენილი პრაქტიკულ მოქმედებისათვის, ის იყო ფილოსოფოსი. ეს მტკიცდება მით, რომ თუმცა მას არ მიუღია უმაღლესი სწავლა-განათლება, მაგრამ, მიუხედავთ ამისა, მან სხვის დაუხმარებლათ შეისწავლა სამკურნალო მეცნიერება და ითვლებოდა კარგ ექიმათაც; შეისწავლა შევნიერათ ასტრონომია, გაიცნო ღრმათ ლეთის მეტყველება და ევროპის ფილოსოფია რამდენათაც კი შეიძლებოდა, ჩვენი ისტორია. ქართული ენის და ჩვენი ძველი მწერლობის ცოდნაში ხომ საქართველოში არ ყავდა მას ტოლი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მას შეელოდა თავის ნამდვილი ქართული ოჯახი და საგვარეულო მდიდარი ბიბლიოთეკა. როგორც მსმენია თვით ნიკოლოზისაგან, მას ჰქონია თითქმის ყველა ძველი ქართული წიგნები და სხვათა შორის იმისთანა იშვიათი და შესანიშნავი თხზულებანი, როგორცაა „აღაზროდანი“, „ნებროთის წიგნი“ და „იონა ბერის დამაკავშირებელი“. ნიკოლოზის სიტყვით ყველაზე უფრო შესანიშნავი იყო „დამაკავშირებელი“, იგი ყოფილა დაწერილი ეტრატზე, შედგებოდა შვიდი ტომისაგან და შეიცავდა ძველი დროის ენციკლოპედიას. ამისთანა წიგნი ქართულ ენაზე არ დაწერილაო, იტყოდა ხშირათ გან-

სვენებული, შიგ იყო მოთავსებული სალიტერატურა და სამეცნიერო საუბრეოთ შემუშავებული სრული ტერმინოლოგია, და თუ მე ქართული ენა, სულ იმ წიგნის წყალობითა — იტყოდა ხოლმე. მაგრამ საუბედუროთ ეს ძვირფასი ბიბლიოთეკა, როგორც მკითხველმა იცის ცეცხლის მსხვერპლი შეიქნა.

როგორც გავიგე კერძოთ მისგან და აგრეთვე სხვა დასხვა წყაროებიდან ნიკოლოზს ჰქონია წინეთ ბევრი ნაწერები ბელეტრისტული, სამეცნიერო და ისტორიული ხასიათისა. ყველა ეს ნაწერები მის ბიბლიოთეკასთან ერთათ ცეცხლს ჩაუნთქავს. ამ შემთხვევას ძლიერ ცუდი გავლენა ჰქონდა განსვენებულზე, რომ მოაგონდებოდა ხოლმე მას იმ ბიბლიოთეკის და თავის ნაწერების გადაწვა, თვალბეში ცრემლოები მოადგებოდა. ნიკოლოზმა არც შემდეგ დაანება მწერლობას თავი. ის ამ უკანასკნელ დრომდის წერდა ვრცელ ისტორიულ რომანს, რომელშიაც უნდა აღწერა და დაესურათებია მთელი ქართველი ერის კულტურა, სამეფოს შემოღებიდან აქამომდე. ამისათვის მან შეკრიბა დიდი მასალა, კიდევ მიჰყო ხელი და დაწერა რამდენიმე თავი. არ იქნება ურიგო, რომ ჩვენმა რედაქციებმა შეიძინონ ამ ნაწერების ნაწყვეტები და დაბეჭდონ. ისინი ექნებათ უსათუოთ განსვენებულის შვილებს. უნდა აღენიშნოთ აქვე, რომ ნიკოლოზს დადიანს ჰქონდა შესანიშნავი მესხიერება, ზეპირათ იცოდა თითქმის მთელი ჩვენი ძველი მწერლობა. მეტათ სამწუხაროა, რომ ჩვენი ახალი თაობა მას საქმარისათ ვერ იცნობდა, რომ გამოეყენებია მისი ცოდნა. თითონ კი განსვენებულს არ ჰქონდა დრო, რომ გულდასმით შედგომოდა თავის საყვარელ საქმეს, რადგანაც მუდამ დღიურ ლუკმაზე ზრუნავდა.

განსვენებული ნიკოლოზი იყო ამასთანავე შესანიშნავი ზნეობის პატრონი და მეტათ გრძობიერი ადამიანი, მიუხედავთ იმისა, რომ ის ნივთიერათ ძლიერ შევიწროებული იყო, თავის ხარჯით ზრდიდა და ინახავდა ორ-სამ ღარიბ ნათესავს. მისი სახლი ყველასათვის ღია იყო. განსვენებული ადრე დაქვრივდა და უმთავრესი ყურადღება თავის შვილების ღირსეულათ აღზრდაზე ჰქონდა მიქცეული.

საუკუნოთ იყოს ხსენება შენი, დიდო პატიოსანო სულო!

უმნიშვნელო მეგობარი.

სხვა-და-სხვა ამბავი.



ურიიდან გვატყობინებენ, რომ საღვ. სუფსის მახლობლათ, თ. დ. გურიელების მამულში უტყუარი ნიშნები ამოჩნდა ნავთისა, თუთხმეტი საყენი გაუთხრიათ იქ მოამუშავე ინჟინერებს ბურ-ლით და ნათხარიდან უკვე დღეში ორას ფუთამდე მა-ზუტი ამოღისო. ინჟინერები დარწმუნებულნი არიან, რომ მათი მუშაობა ნავთის შადრევანით დაგვირგვინ-დება.

\* \*

სამშაბათს დასაზღაურეს მ. კერესელიძე, რომე-ლიც გადაიკვალა უცრათ წვეთისაგან. განსვენე-ბული ითვლებოდა თავის ნაცნობთა და ამხანაგთა შორის როგორც სამაგალითო, გულ-კეთილი და პა-ტიოსანი მოღვაწე და თავისი სამშობლოს მსურვა-ლე მოყვარული. მას არაფერი ქონება არ დაუტოვე-ბია თავის წერილ-შეილისათვის.

\* \*

დღეს, 17 ნოემბერს, თბილისის სახელოსნო სასწავლებელში დანიშნულია წლიური აქტი, რო-მელზედაც სასწავლებლის დირექტორი წაიკითხავს გასულ 1895/6 წლის ანგარიშს; შემდეგ დაუროვე-ბენ ხელოსნობის მოწმობას იმ შეგირდებს, რომლებ-მაც კარგათ დაამთავრეს სწავლა.

\* \*

სომხურ „საქველ-მოქმედო საზოგადოების“ ჩე-ვამ ამ დღეებში გამოსცა ანგარიში ხსენებული სა-ზოგადოების მოქმედებისა გასულ წელს. ანგარიშს წინ მიუძღვას აღრიცხვა ყველა შემოსავალ-გასავლი-სა, 15 წლის განმავლობაში. ამ ხნის განმავლობაში სულ შემოსულა 145,640 მან. და 2 კაპ., იმავე დროს დაუხარჯავთ სულ 85,540 მანეთი. საანგარი-შო წელს საზოგადოებას, ცხინვალის, ნახიჩევანის და ართვანის განყოფილებათა გარდა, რომლებსაც ვერ მოუხსწერიათ ანგარიშის წარმოადგენა, ჰქონებია შემოსავალი 44,631 მან. და 10 კაპ. და გასავალი 46,070 მან. და 31 კაპ., ე. ი. 1,439 მან. და 21 კაპ. მეტი, ვინემ შემოსავალი. საანგარიშო წელს საზოგადოებას ჰყოლია 38 მუღმიე და 1,516 წლი-ური წერი. საზოგადოების ცენტრალურ გამგეობას-თან 1894 წლის 1 სექტემბრიდან არსებობს ბიბლი-ოთეკა-სამკითხველო, რომელსაც საანგარიშო წელს 34 დრო-გამოშვებითი გამოცემ: მოსდიოდა რუსულ

და სომხურ ენაზე და რომელშიაც 4,940 წიგნი მო-იპოვება რუსულ, სომხურ, ფრანგულ და ნემეცურ ენებზე. საზოგადოებას ბიბლიოთეკა-სამკითხველოს შესანახავათ საანგარიშო წელს დახარჯვია 2,151 მან. 55 კაპ.

\* \*

ახალ-სენაკში ეს მესამეთ დამწვარა სასულიერო სასწავლებელი. ყოველად უსამღვდელოესი ეგზარხო-სი ვლადიმერი წაბრძანებულა, როგორც ახალ-სენა-კის დასათვალისწინებლათ, ისეც ფოთისა, რადგან ფო-თელები თხოულობენ ახალ-სენაკის სასულიერო სა-სწავლებელი ჩვენ ქალაქში გადმოიტანეთო. რო-გორც „ახალ მიმოხილვის“ ფოთის კორესპონდენ-ტი გვაუწყებს, ფოთის მცხოვრებლებს ნდომებიათ დი-და ამბით შეხვედრა ეგზარხოსისა, მაგრამ დანიშნულ დროზე არ მიბძანებულა. მეორე დღეს მისვლისათა-ნავე ეგზარხოსს დაუთვალისწინებია ყველა ის აღკლები, რომლებსაც ქალაქი აძლევს სასწავლებელს, იმ დღეს-ვე მოლაპარაკება ჰქონიათ, თუ რა პირობებთ შე-იძლება სასულიერო სასწავლებლის გადმოტანა ფოთ-ში. ყველა მოსახრებანი, თუ რომელ ადგილას ეკო-ბინება სასწავლებლის აშენება, უნდა უწყინდეს სი-ნოდს გაეგზავნოს. სანამ კი ახალ-სენაკში თ. მანე-ძეებს დაუთმიათ თავიანთი შენობა, ისე რომ არც ემაწვილებს და არც მასწავლებლებს არ მოუხდებათ შუა ზამთარში გადასვლ-გადმოსვლა და ბინ-ს შე-ცვლა.

\* \*

თბილისის გუბერნიის გამგეობის სამკურნალო განყოფილების ცნობებიდან ჩანს, რომ თბილისში 1892 წელს მომკვდარა 1,597 კაცი და 1,109 ქა-ლი; 1893 წელს — 2,023 კაცი და 1,344 ქალი და 4594 წელს — 2,141 კაცი და 1,504 ქალი. („Ноб. 0603.“)

\* \*

ამას წინეთ, თბილისის გუბერნატორს მოსვლია შინაგან საქმეთა მინისტრისაგან პროექტი, რომ გა-უქმდეს დამოუკიდებელი მოქმედება სავაჭრო, სახე-ლოსნო და წერილ ვაჭართა გამგეობისა და ამა-თი საქმეები გადაეცეს ქალაქის „თეთი მმართველო-ბასო“, ამასთანავე მინისტრი თხოვდა გუბერნატორს ამის შესახებ წარედგინა თავის აზრიც. გუბერნატორს თავისი მხრით ეს პროექტი გაუყვანია ხელოსან-თა, ვაჭართა და წერილ ვაჭართა გამგეობათათ-ვის. ვაჭართა უფროს უკვე წარუდგენია გუბერნა-

ტორისთვის თაეის მოსაზრება, რომლიდანაც ჩანს, რომ ვაჭრებისთვის სასურველი იქნება აწინდელი წესი დატულ იქნას („Кавказ“).

\* \*

ამ უკანასკნელ დროს დაუფასებიათ თბილისის, ქუთაისის და ბაქოს გუბერნიების ფაბრიკების, ქარხნების და სხვა გვარი სამრეწველო შენობები. ამ ცნობებიდან ჩანს, რომ თბილისის გუბერნიაში ამგვარი შენობა სულ 2.079,281 მანეთის და 50 კაპეიკის ყოფილა, ქუთაისის გუბერნიაში 1.039,739 მანეთის და 50 კაპ. და ბაქოს გუბერნიაში კი 4.183,011 მან. („Нов. Обоз.“)

\* \*

ჩვენ მივიღეთ ქუთაისში ბ.ბ. კილაძის და ხელაძის სტამბაში დაბეჭდილი წიგნები: 1) „მოდა“ აკაკისა, გამოცემა მ. ლალიძისა, გვ. 16, ფასი 5 კაპ. და 2) „სახალხო პოეზია და მისი საესტეტიკო, საპედაგოგიო და სამეცნიერო მნიშვნელობა“ მელიტონ კელენჯერიძისა, გვ. 302, ფასი 1მ. 40 კ. ეს უკანასკნელი წიგნი გადამობეჭდილია „მომამბიდან“. ამ წიგნის ხელ-ახლა გადათვლიერებამ დაგვანახა, რომ მასში ბევრ კარგ და სასარგებლო მოსაზრებასთან ერთად ბევრი უსაზღვროთ გაზვიადებული აზრია წარმოთქმული და ამაზე კიდევ უფრო მეტი აზრები სრულიად შემცდარი. ყოველ შემთხვევაში ამ საინტერესო წიგნის უფრო ვრცელ განხილვას ჩვენ ცალკე წერილს ვუძღვნით.



თ. ნიკოლოზი ტარიელის ძის დადიანის შოგიერთი ლექსი.

ჩემს მკურნალს.

(ს. მ. თოფურაძის)



თასსა უკუღმართობასა ყოველ დღე ჭყავსარ მო-  
წამეთ:  
დალატს, ტუეუბას, ურცხვობას უუურებ—გი-  
ცვლის დღეს ღამით;  
ცაღკე უკეთურთ ფოთარს, ცაღკე სიზნატის ძილია...  
მას, რაღათ გიკვირს, მკურნალო, გულის ძვრს რომ შე-  
ცვლილია!  
ან სულ-თქმა, ან ძარღვისცემა რასა შევაწყო მართლას,

სწორას და თანაზიარს, მცნობს, გულ-გრძნობა მწკარ-  
თაღს!..

1894 წ., 7 აპრილს ქ. ქუთაისი.

\* \*

კაცი ურწმუნო მტლარია,  
იმედ-მისილილი—მჩვარია,  
მოშლილი, მშლედი, გულ-ცუდი  
—მსრწუნელ სენათ შესაყარია.  
საღისსკამქარაღი, მთქნარია,  
გულ-ბილწათ მქცევი სქარია,  
იქ მკვდრებსა გამოჭკლებია  
და აქ ცოცხლებში მკვლარია.

94 წ.-II-22.

\* \*

უმტართ გმობა, მდურგა, ეკვდრება არაფრათ წაჭ-  
კვირს ჭკუიანს, მცნობს,—  
დიდ-სულმა კატა იცის, რომ ლაფი ზეკით ამის-  
მელსა თავს ესისძის მგომბს!..  
იცის, რომ შუფოთვა, ღრიალი ქართა ვერას დაკ-  
ლებს გლდესას ვასაღას,  
იცის, რომ ზღვათა ოსურა, სეთქება ვერ შესძრავს  
შიგ მდგომს მკვლათ ქვასაღას.

94 წ.-X-7.

\* \*

წინ-სვლას ჟვარცმას, ღასკრის სობას,  
უკან უურება—გაქვავება,  
განზე გასკევა—იუღობას —  
სსვისიც, თავისიც მწნობლი ვნებას.

წინ-უტესია, მნელ-შესამართი,  
უკან ჟოგისა მონაჟკეთა,  
განზე—მწაკვართა გზა უგულმართია...  
ზეკით გოღგოთას წმინდა ბეგია!

ძრწიან ჟვანნი,—არ დრკება გმირი,  
ჟვარს მიესწრათვის მისი თათბირი:  
იმას იწოდებს, რაც დიადია,  
რაც მნელია, რაც არი მკირო!



„კეალის“ კორესპონდენციები.



უთასი. „წამწყმინდა წამხელურობამო“, იტყვიან, ეს ანდაზა ტყუილი არ არის. ზოგჯერ წამხელურობით და მიბძვით მართლა წაწყდება და დაიღუბება ადაიანი, თუ მას ცოდნა და ენერგია აკლია მის მიერ დაწყებული საქმის დასამთავრებლათ. მოგეხსენებათ, ამ ექვსი წლის წინეთ თბილისში დაარსდა „ქართული წიგნების გამომცემელი ამხანაგობა“, რომელიც დღესაც არსებობს და თავის „დანიშნულებასაც“ ემსახურება. იმავე წელსვე (რა თქმა უნდა წამხელურობით) ქუთაისშიაც დაარსდა ქართული წიგნების გამომცემელი ამხანაგობა, რომელმაც ექვსიოდე წიგნაის გამოცემას შეჰდგა სალათას ძილს მისცა თავი და მას აქეთ ძინავს ტუბილათ. პირველ ორ წელიწადს საქმე ცოცხლათ მიდიოდა, კრებებიც ინიშნებოდა, ხოლო შემდეგ ყველამ ისე მიიფიწყა, რომ აჯერ სამი წელი გადის და ერთი კრებაც არ მომხდარა და არც ის ვიცით, თუ რა მდგომარეობაშია დღეს ამხანაგობის საქმე. სწორეთ გასაკვირველია ჩვენი საქმე. პირველათ ბზიკნაქბენიეთ ავბაღბილდებით, ხოლო დავაწყებთ თუ არა საქმეს მაშინვე გული აგვიკრუვდება და გმირულათ დაწყებული საქმე ლაჩრულათ იფუშება.

„კარგი რომ გჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველიაო“, ეს სწორეთ ქუთაისზეა გამოჭრილი. მთელი ქუთაისი ყოველ გვარ უსუფთაობას და სიბინძურეს რიონში ჰყრის და იმავე დროს კი რიონის წყალს იღებს და ხმარობს. ნუ თუ ეს გარემოება ყურადღების ღირსი არ არის? ნეტა რას ფიქრობს ამის შესახებ ჩვენი ქალაქის გამგეობა? კარგი წყალი უებარი წამალია, მოგეხსენებათ, ხოლო ცუდი ყოველ გვარ ავთამყოფობის და სიავის გამჩენი. ამიტომ ქალაქის საბჭომ აუცილებლათ უნდა იმეცადინოს, რომ ქალაქის მცხოვრებლებს სუფთა წყალი მიაწოდოს და საზოგადოათ რაიმე ნაირი ზომები იხმაროს ქალაქის გასასუფთაებლათ.

აგრეთვე მივაპყრობთ ქალაქის გამგეობის ყურადღებას „თეთრ ხილზე“, რომელზედაც ეს სამი თუ ოთხი თვეა, რაც აყრილია ფიცრები და ზედ ეტლებით მიიოსელა შეწყვეტილია. ნუ თუ ჯერ კიდევ არ არის დრო მუშაობის დაწყებისა? თუ კიდევ გაგძელდა ამ ხილის გაუკეთებლობა, მანამდე მეორე ხილიც გაცედება და მერე მშვიდობით ვალმა ვაპოლმელებო.

დასასრულ ორიოდე სიტყვა აქაური ებრაელების და მათი სალოცავი სინაგოგის შესახებ. ყველამ იცის, რომ საზოგადოათ ებრაელები ნიჭურები არიან და ამასთანავე ძლიერ დახელოვნებულნი ეპქრობაში, აპი-

ტომაც სიმდიდრეც მათ ხელშია. სამწუხაროთ ეს ხალხი მეტათ უსუფთაოთ და ბინძურათ ცხოვრებს. ამათ არც სიმდიდრე შევლის, არც ევრაპის განათლების შუქი. არაერთარი პრაგრესი ამათ არ ეტყობათ. ჩვენი შეწენიერი ქუთაისის საუკეთესო ნაწილი ებრაელებს უჭირავთ. როგორც ჰაერთ, ისე წყლით უბირველესი ადვილაა ეს უბანი მთელს ქუთაისში, მაგრამ საუბედუროთ, სწორეთ ეს უბანია ჩაფლული სიბინძურეში. აქ არც ქუჩებია ქუჩის მზგავსი, არც სახლ-კარი, და ასე წარმოიდგინეთ, არც თვით სინაგოგა (სალოცავი სახლი). სახლები ერთი-მეორეზეა მიკრული, ეზო სულ არა აქეთ და თუ ეისმე აქეს, ნავეითაა სასე. სინაგოგაში სკამები ძველის-ძველი და ჭუჭყიანაა, სკამებ ქვეშ ნაგავი, კედლებზე ობობას ქსელი და სხე. ეს გარემოება აუცილებლათ თხოულობს ყურადღების მიქცევას.

გ. მასსულია.

\* \* \*

დ. სობი (ზუკდილის მასრა). მიძინებულ და გონებრივათ დაქვეითებულ სობის შესახებ ბევრი არა ითქმას-რა, მით უმეტეს, რომ სობელებზე ბეჭდითი სიტყვა სრულიად არ მოქმედობს, როგორც გამოცდილებამ დაგვიმტკიცა. ამას წინეთ ერთმა ადგილობრივმა ინტელიგენტმა აღძრა კითხვა სობში სამკითხველოს დაარსების შესახებ, მაგრამ, საუბედუროთ, ამ ფრიად საქირო საქმეს ჯერ-ჯერობით ვერ ეღირსა განხორციელება. ამ საქმის მოთავე, მასწავლებელი დ. სობის ორ-კლასიანი ნორმალური სკოლისა, ბ. სიმონ ორჯონიკიძე, ლანჩხუთში გადაიყვანეს და დანარჩენი სობის ინტელიგენტები ისევ ღრმა ძილს მიეცენ. კარგი იქნება, რომ ბ. ბ. ვ. ძიუბენკო, ე. ძოწენიძე, ნ. სასანია, ლ. ხუზია, მ. აოსავა და მამაკალისტრატე, რომელთაც შეგროვილი აქეთ სობის საზოგადო საქიროებისთვის ხუთი ათასი მანეთი, იმ ფულიდან ცოტაოდენს მაინც მოახმარებდენ ბიბლიოთეკის საქმეს და ჩვენ არა თუ ერთ და ორ მანეთობით, არამედ მეტითაც მზათა ვართ შემწეობა აღმოუქინოთ. თუ როგორ საქიროა ჩვენთვის საზოგადო სამკითხველო, ამას ეს გარემოებაც ნათლათ მოწმობს, რომ მთელ დასავლეთ სამეკრელოში ერთი სამკითხველო არ მოიპოვება, მაშინ როდესაც ხალხში კითხვის სურვილი უკვე გაღვიძებულია. მაგალითათ, აქ ხშირია იმისთანა შემთხვევა, რომ როცა ათხოვებ ეისმეს წიგნს, იმისგან მეორეს მიიქეს, მეორედან მესამეს და ასე შენი წიგნი შეიძლება ვერც კი დაიბრუნო. ყველა, ცოტათ თუ ბევრათ შეგნებული პი-

რი ვალდებულა, რომ ეცადოს რამენაირათ ეს ხალხის მოთხოვნილება დააკმაყოფილოს; წინააღმდეგ შემთხვევაში ის დამნაშავეთ ჩაითვლება საზოგადოების წინაშე.

სოლომონ იოსავა.

\* \*

ზარის ოსეთი (კავკასიის მაზრა). როგორც მოხსენებულნი მქონდა ამას წინეთ ვახ. „კვალში“, ბარის ოსებში ამჟამათ სწორეთ შემშლილს დრო დადგა. ამასთან ერთათ საშინლათ გავშირდა მტაცებლობა. აქამდის ცხერის ფარის მოტაცება არ იცოდენ აქეთ და ახლა ესეც შემოიღეს. ღრმათ მოხუცი კაცები ამბობენ, რომ ამნაირათ ცხერის ფარის მოტაცებას, არამც თუ მოესწრებოდათ, არც კი გაგიგონია არას დროსაო. წარსული თვის ცამეტს, სოფ. ყადგარონის და ნოვოგუაუს ახლო მინდერიდან გაირეკეს ას ორმოცდა ათი ცხვარი ავაზაკებმა, რომლისკენაც ვეღარსად იპოვეს, ისე მიმალეს სადღაც. მეორე ღამეს, თავს დაესხნენ ათი ცხენოსანი ავაზაკები სოფ. ყადგარონთან ახლოს, სანების სამრევლოს მცხოვრებთ, რომელნიც სიმინდს ჰჭრიდენ, და დაუწყეს თოფის სროლა. აქ ავაზაკებმა მოჰკლეს ერთი ყმაწვილი-კაცი ქოქოვეი და ორი ხარი, ექვსი ხარი კი გაირეკეს; მღვევარმა კვალი სოფ. ბაზორკინში (ქიშტის სოფელია) მიიტანა. 16 იმავე თვის სოფ. ხუმელაგში სოფლის განაპირას მეცხვარეებს დაესხნენ ავაზაკები; ჯერ თოფები დაუშინეს, ერთი ძალი მოუკლეს და მერე ზოგი მეცხვარეებს დაადგენ თავს ყარაულათ მუქარით, არ გაინძრეთო და ზოგმა კი გაირეკეს ექვსასი ცხვარი. როდესაც კარგა გაშორდენ ავაზაკები მეცხვარეებს, მაშინ მეცხვარეებმა აცნობეს მღვევარს; მღვევარი მალე გამოვიდა, ზოგი ცხვარი გზაზე გაფანტული იპოვეს და, ზოგი საღ გაირეკეს არაეინ იცის. მესამე ღამეს დაესხნენ თავს ალაგირელ მეცხვარეებს. ამავე თვის მიწურულშივე დაესხნენ სოფ. ქრისტიანის ყარაულებს და, ერთი ყარაულთაგანი თავში მიძიმეთ დასჭრეს და ორი ცხენიც გაიტაცეს. ამნაირათ დიდ შევიწროებაში არიან საბრალო ოსები, მომეტებულათ მით, რომ ავაზაკები ბერდანის თოფებით იბრძვიან და, ოსებს კი, უმეტეს ნაწილათ აყრილი აქეთ იარაღი.

ქართველი ოსებში.

\* \*

ქ-ნო რედაქტორმა! უმოარჩილესათ გთხოვთ, ნება მიბოძოთ თქვენი პატივცემული ჟურნალ „კვალის“

საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოეუცხადოთ ბ-ნ სპირიდონ ლევანის ძე ნორაკიძეს, რომელმაც კეთილ ინება და გამოგზავნა მოსკოვის ქართ. ეელ სტუდენტების სასარგებლოთ ასი მანეთი.

მოსკოვის ქართველ სტუდენტების ამხანაგობის მონდობილობით სტუდენტი ა. ნ. ჯავახიშვილი.

ეთხოვთ, დანარჩენ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს ეს ჩემი წერილი გადაეკლან.

\* \*

ქ-ნო რედაქტორმა! უმოარჩილესათ გთხოვთ, ნება მიბოძოთ, თქვენი ვახ. „კვალის“ საშუალებით დაეცითხო „თელავის ქალთა საზოგადოების მმართველობას“: 1) „საზოგადოებამ“ დაიწყო თუ არა მოქმედება? 2) თუ დაიწყო — როგელი წესდებოთ? იმითი, რომელიც იყო გამოცხადებული, თუ სხვა ახალით? 3) თუ მართალია „საზოგადოების“ ორათ გაყოფა, როგორც ამბობენ, — რამ გამოიწვია ეს სამწუხარო მოვლენა?

თელაველი.



### ს კ ო ლ ა

სოფელი და სასოფლო სკოლა გერმანიაში

II \*)

ს კ ო ლ ა.

**ს**კოლის ადგილობრივი გამგეობა შემდეგი პირობისაგან შედგება: ღველი და ეკლესიის გამგეობის სხვა წევრნი, რომელთაც ეწოდება — Ortsgeistlichen — ადგილობრივი სასულიერო პირნი, ბურგომისტერი (მამასახლისი, ანუ საზოგადოების მოურავი), საქველმოქმედო საზოგადოების წარმომადგენელი (2 - 3), ცნობილი ადგილობრივი ქველ-მოქმედნი, ერთი ან ორი მასწავლებელი და საზოგადოებისაგან არჩეული პირნი. აი, ამათი სხდომა განაგებს სკოლის ნიეთიერ და აღმინისტრაციულ მხარეებს. ამ ადგილობრივი გამგეობის მოვალეობაა: 1, სკოლის კანონიერ ნიადაგზე დაყენება და ყურის გდება; 2, სწავლის ვალდებულების დაცვა, დასჯა ჯარიმით ან სხვა უფრო სასტიკი ზო-

\*) ის. „კვალი“ № 47.

მების ხმარებით იმ მშობლების წინააღმდეგ, რომელნიც შეიღეს სკოლაში არ ავზენიან; ურჩ მშობლებს პირველათ მოაგონებენ, რომ მათი შეიღის სკოლაში მიცემის დრო მოვიდაო (ე. ი. 7 წლისააო), მეორეთ დაჯარიმებენ სკოლის სასარგებლოთ, მესამეთ (თუ კიდევ ურჩობენ) პასუხის გებაში აძლევენ, რე თუ ამანაც არ გასჭრა, შეიღს ართმევენ მშობლებს და აბარებენ კერძო პირს რე საზოგადოების ხარჯით ზრდინან, ხოლო გაღებულ ხარჯს შემდეგ მშობლებს ახდეინებენ. მაგრამ ასეთი უკიდურესი ზომების მიღება საქირო არ არის, ეს იშვიათი მოვლენაა. 3, ახალი მასწავლებლის მოწვევა, ზედ-მეტი გაკვეთლების დაწესება, სწავლის გასაძელებელი და საკირო სკოლის გახსნა, მათი გაუმჯობესება, შემოღება ხატის და ქალთა ხელ-საქმის და სხე. 4, ის განაგებს სკოლის ფონდს და ცდილობს ახალი საშუალებანი აღმოაჩინოს. 5, ღარიბ ბავშვებს ათავისუფლებს სწავლის ფულისაგან (თუ კი ეს არსებობს), უჩენს დახმარებას სასწავლო ნიუთებით, ტანისამოსით და სხე. 6, ესწრება ვგზამენებს. 7, არჩევს მასწავლებლების საჩინვარს და თხოვნას, ურთიერთ შორის ჩამოკარდნილ უკმაყოფილებას, ასამართლებს მათ და სხე. სკოლის მთელი საქმე ამ ორი დაწესებულების ხელშია. ვერავითარა ბრძანება, ვერავითარი ღებულება ვერ განხორციელდება ისე, რომ ამათ არ განიხილონ და თანახმათ ადგილობრივი მოთხოვნილებისა არ შეცვალონ. ამიტომ არის, რომ ყველა უმაღლეს განკარგულებას თან ახლავს შემდეგი: ამის განხორციელება დამოკიდებულია ადგილობრივი პირობებისაგანო. ეს წარმოდება იქიდან, რომ პარლამენტარულ ქვეყანაში, ე. ი. იქ, სადაც თვით ხალხია მოწოდებული თათვის წარმომადგენლებით, რომ ქვეყანა მართოს, კანონი და პროექტი ქვევიდან მაღლა მიდის და არა მაღლიდან ქვევით. ეს ასეა საზოგადოთ და კერძოთ სკოლის საქმეშიაც. აქ, როგორც ქვევით დაეინახეთ, უმაღლეს აქტივეურ როლს თვითონ მასწავლებელი თამაშობს.

სასოფლო სკოლას ყოველ ორ წელს რევიზიას უშვრება მაზრის ინსპექტორი. ეს არის სამაზრო ქალაქის ღვდელი და მას მთელი მაზრის პირველ დაწყებითი მასწავლებელი ექვემდებარება. სკოლის უმაღლესი მთავრობა არის საეკლესიო კონსისტორია.

სწავლა-განათლების სათავეში დგას სამინისტრო, რომელსაც ეწოდება სარწმუნოებას და განათლების სამინისტრო. სამინისტრო შედგება სერო პირთაგან.

როგორც ზევით მოვიხსენიე, სახალხო განათლება პირველ-დაწყებითი მასწავლებლით არ თავდე-

ბა. ამას მოსდევს საკირო და სწავლის გასაგრძელებელი სკოლა.

სკოლის ღებულებაში ვკითხულობთ: „საკირო სკოლა შეადგენს სახალხო სკოლის გაგრძელებას. იქ ასწავლიან ისეთ საგნებს, რომელნიც სამოქალაქო ცხოვრებისათვის მიუცილებელ საქიროებას შეადგენენ“. საკირო სკოლაში სიარული 14 წლიდან 18 წლამდის ორივე სქესის ახალგაზდებისათვის სავალდებულოა. გაკვეთილი წარმოებს კვირა ღდეს და გძელდება ერთი საათი, ერთ კვირას ქალებისათვის, მეორე კვირას ვაჟებისათვის. 1) სკოლის ადგილობრივ გამგეობას შეუძლია ეს განაწილება შეცვალოს, ზაფხულში მარტო ქალებს ასწავლონ და ზამთარში ვაჟებს. წელიწადში 40 გაკვეთილი სავალდებულო, კურსი სამი წლისაა, მაშასადამე, ბავში, შემდეგ სახალხო სკოლის დასრულებისა, 120 გაკვეთილს კი ვეე საკირო სკოლაში იღებს. თათოველ გაკვეთილზე ოთხ საგანს გაღიან: სამღეთო რჯულს, ანგარიშს, თხზულებას და რეალურ საგნებს. თხზულების საგანია: პარველ წელს ბარათები, აშბების მიწერ-მოწერა და რაიმეს გამოწერა—დაბარება; მეორე წელს, მოხსენებები, თხოვნები და მოწომებები, მესამე წელს ანგარიშების, კვიტანციების და სხეა საქირო ქალღლების შედგენა.

ანგარიში მღგომარეობს განსაკუთრებით ზეპარ გამოყენაში. რეალურ საგნებში უპირველესა ალაკი უქირავს მოძღვრებას ჯან-მრთელობის შესახებ (პიგიენა), შემდეგ საოჯახო ცნობები ქალებისათვის და სამოქალაქო ვაჟებისათვის. პარველი ოჯახის ქალია, მეორე მოქალაქე, საზოგადოებაში მოღვაწე; თანახმათ ასეთი შეხედულებისა აწედენენ სწავლა-ცოდნასაც.

საკირო სკოლის გახსნა ყველა საზოგადოებისათვის სავალდებულოა. მასწავლებელს ამისათვის ეძლევა ზედ-მეტი ჯამავირო, 40 მარკა წელიწადში (თითო გაკვეთილი თითო მარკა). საკირო სკოლის გახსნისაგან თათისუფალია მხოლოთ საზოგადოება, სადაც ორივე სქესისათვის სწავლის გასაგრძელებელი სკოლა არსებობს. ხოლო თუ ეს უკანასკნელი მარტო ვაჟებისათვის არის, მაშინ საკირო სკოლა რჩება ისევე ქალებისათვის და ისპობა ვაჟებისათვის.

ერთი უსაქიროესი და ღიდათ საყურადღებო დაწესებულება უეჭველათ სწავლის გასაძელებელი სკოლა არის (Fortbildungsschule—სწავლის გაძელების სკოლა). მისი გახსნა აქამდის სავალდებულო არ

1) ორ-კლასიან მასწავლებელში კი ორივე სქესის მწავლება სსეა და-სსეა დაზაზში ერთ და იმავე კვირას სდება. უფროსი მასწავლებელი მსწავლის ქალეს, უმცროსი ვაჟებს.



ამერიკის ახალი პრეზიდენტი ვილიამ მაკ-კინლეი.

ყოფილა, მიუხედავთ ამისა შეძლებული საზოგადოება თაყვის მოვლევობათ რაცხდა ასეთი სასწავლებლის გახსნას, რისთვისაც ხაზინა ფულათ დახმარებას უჩენდა. ასეთი დახმარებით და წახალისებით სკოლამ ხალხში ფეხი მოიდგა, ასე რომ კანონით რომელიც სავალდებულო არ იყო, ცხოვრებაში სავალდებულოთ გადაიქცა. ამ ასპარეზზე განსაკუთრებითი შრომა მიუძღვის „ხალხში განათლების გამაგრებელ საზოგადოებას“, რომელიც გერმანიის ყველა კუთხეში არსებობს და იღწვის. რაკი ამ სკოლამ ისე მოიკიდა ფეხი და მისი საქირაობა აშკარა შეიქმნა, მთავრობამაც შესაფერი ღონისძიება მიიღო და შარშან (1895 წ.) 22 მარტს კანონით დაადგინა, რომ ეიტრტემბერგის ყველა საზოგადოებამ უნდა უსათუოთ გახსნას სწავლის გასაგრძელებელი სკოლაო. აი, რამდენიმე მუხლი ამ კანონისა:

§ 2, საზოგადოთ სწავლის გასაგძელებელი სკოლა გაიხსნას ყველგან, სადაც კი პირველ-დაწყებითი სკოლა არსებობს. მისი დანიშნულება, რომ სახალხო სკოლაში სწავლა მიღებულ ბავშვმა განაგრძოს განვითარება. თითოეული მათგანი ვალდებულია, თუ სხვა რაიმე სასწავლებელში არ შევიდა, სწავლის გასაგძელებელ სკოლაში ორი წელიწადი იაროს.

სოფლის საბჭოსი (ჩვენებურათ სოფლის სამმართველოს) და სკოლის ადგილობრივი გამგეობის თხოვნით შეიძლება საზოგადოება გაათავისუფლდეს ასეთი სკოლის გახსნისაგან, თუ კი რაიმე დიდი დამაბრკოლებელი მიზეზი აქვს ამისთვის.

§ 3. საბჭოს, სკოლის ადგილობრივი გამგეო-

ბასთან ერთათ, შეუძლია ქალებისათვისაც სწავლის გასაგძელებელი სკოლა გახსნას.

§ 4. სწავლის გასაგძელებელ სკოლაში სწავლა წელიწადში 80 საათს უნდა იყოს, ქალები და ეაყები ერთმანეთისაგან დაშორებულია.

§ 5. სწავლა წარმოებს საქმის დღეს, რომელიც რაიმე დამაბრკოლებელი მიზეზის გამო სკოლის ადგილობრივი გამგეობას, საბჭოს შეკითხვით, შეუძლია კერა დღეზე გადაიტანოს.

§ 6. სკოლის ადგილობრივი გამგეობას ნება აქვს სწავლის გასაგძელებელ სკოლაში მეცადინეობა ზაფხულიდან ზამთარში გადაიტანოს, თუ კი დაწესებული 80 საათის სწავლა შესრულებულ იქმნება.

§ 11. სკოლის ადგილობრივი გამგეობას ნება აქვს დასაჯოს ის მოწაფე, რომელიც სწავლის გასაგძელებელ სკოლაში არ ივლის.

მასწავლებელს შეუძლია ორი საათით სკოლაში დატოვებით დასაჯოს ის მოწაფე, რომელიც გაცვეთილის დროს დისციპლინას არღვევს და ცუდყოფა-ქცევას იჩენს. ორ საათზე მეტი დატოვება კი სკოლის ადგილობრივი გამგეობის საქმეა.

§ 12. თითო საათის სწავლებაში მასწავლებელი იღებს თითო მარკას.

ამ სკოლის გახსნაში ხაზინა მონაწილეობას ლებულობს იმით, რომ მასწავლებლის ნახევარ ჯამგირს თვითონ იხდის, ნახევარს კი საზოგადოება. სკოლის გათბობა, განათება, სასწავლო ნივთების შეძენა და სხვ. საზოგადოების საქმეა, მაგრამ ლარბი საზოგადოებას ამაშიაც ხაზინიდან შემწეობა ეძლევა. სკოლაში სიარულის ნება დიდებსაც აქვთ.

სახლგაგაკრეთელი.

(შემდეგი იქნება)

ვილიამ მაკ-კინლეი

ამერიკის შეერთებულ-შტატების ახალი პრეზიდენტი.


**მ**ეთრამეტე საუკუთის ბოლო ყველა ეპოქაზე უფრო შესანიშნავა მთელ კაცობრიობის ისტორიაში. ამ ხანას მიეწერება ძლიერ გაბედული აღმოაფრენა, როგორც წმინდა აზროვნების და ფილოსოფიის, ისე პოლატიკური მოქმედების სფერაშიაც. ინგლისი, საფრანგეთი და დღევანდელი ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკა, რომელაც იმ დროს ჯერ კიდევ ინგლისის უბრალო

ახალშენათ (კოლონიათ) ითვლებოდა, ერთი ერთმანეთს ეცილებოდნენ პირველი ალაგის დაჭერას ახალ პროგრესიულ მოძრაობაში, რომელსაც სამუდამოთ ბოლო უნდა მოეღო საშუალო საუკუნოების და ბარბაროსობის დროიდან დარჩენილ ფეოდალურ-დესპოტიურ წესწყობილებისათვის. ჯერ კიდევ დარწმუნებით არ იციან, თუ რომელს იმთავანს ეკუთვნის პირველი ალაგი ამ დიდებულ მოძრაობაში. დარწმუნებით შეგვიძლია ეთქვას მხოლოდ ის, რომ ეს მოძრაობა არ ყოფილა მარტო ერთი რომელიმე სახელმწიფოსა, არამედ ის იყო შედეგი მთელი ევროპის ერთა საერთო განვითარებისა, რომელშიაც უპირველესი ადგილი ეკონომიურ წარმატებას ეკუთვნის. მეორე მხრივ, დარწმუნებით ვიცით აგრეთვე, რომ ამერიკის აღმოჩენას შემდეგ მე-XV საუკუნის ბოლოს, ეკონომიურად დაწინაურებულ მხარეთ ხდება ინგლისი. პირველათ, აი, ამ მხარეში იკიდებენ ფეხს ახალი დროის პირობები. ამასთანავე ძველი წესწყობილებით ყველა უკმაყოფილო ელემენტები უმეტეს ნაწილათ პოულობდნენ თავშესაფარს ახალ აღმოჩენილ მხარეში, ჩრდილოეთ ამერიკაში, რომელიც მეთვრამეტე საუკუნეში მართლაც ხდება იმით საიმედო თავშესაფარათ. მაგრამ ჩრდილოეთის ამერიკა იმ დროს ინგლისის ქვეშევრდომ ყურ-მოჭრილ ყმათ ითვლებოდა: რაც ინგლისის მთავრობას, ე. ი. მდიდარ და ჩასუქებულ ლორდებს პალატას, სურდა, ის უნდა შესრულებულიყო ჩრდილოეთ ამერიკაში; ხსენებული მთავრობის სურვილი კი იმაში მდგომარეობდა, რომ რაც შეიძლება მეტი სისხლი გამოეწოვა იმ ხალხისათვის, რომელსაც თავის სამშობლო მიეტოვებია იქაური წესწყობილების აუტანელობის გამო და სადღაც შორს იყო გადახვეწილი. ბოლოს ამ ხალხის მოთმინების ფაილა გაიგო, იმას აღარ შეეძლო კიდევ აეტანა ის ტანჯვა და წვალება, რომელსაც მას ინგლისის ლორდების მთავრობა აყენებდა. ჩრდილოეთ ამერიკის კოლონია, დასახლებული უმეტეს ნაწილათ ინგლისიდან გადმოხვეწილებით, სასტიკათ აუჯანყდა ინგლისის მთავრობას და რამდენიმე წლის განმავლობაში სასტიკ ბრძოლას შემდეგ ჩრდილოეთ ამერიკის ხალხმა დააპარცხა ინგლისის მთავრობის

ჯარები, გამოაცხადა თავის დამოუკიდებლობა და თავისუფლება და თანახმათ ახალი პოლიტიკური მოძღვრებისა შემოიღო რესპუბლიკური წესწყობილება.

ჩრდილოეთ ამერიკის მაგალითმა, მის თავგამოდებით ბრძოლამ, გაქელილი სიმაართლის ასადგენათ, მეტათ სასარგებლო გავლენა იქონია ძველ ქვეყნებზე, ე. ი. ევროპის სახელმწიფოებზე, სადაც სახელმწიფო წესწყობილება მოუხრიდებლათ თელადა და ჩაგრავდა ხალხს. ევროპაში, ამერიკის გავლენით, რევოლუციის დროშა ამართა პირველათ საფრანგეთმა (1789 წ.) და შემდეგ აქედან მთელ ევროპას მოეფენა მისი ბრწყინვალე შუქი. მაგრამ დაეუბრუნდეთ ჩვენ საგანს.

მას შემდეგ, რაც ჩრდილოეთის შტატები შეიქმნა დიდ ფედერატიულ რესპუბლიკათ, ამერიკის ხალხმა ბევრი სასარგებლო რამ შესძინა მთელ კაცობრიობას, მან აღზარდა უდიდესი შესანიშნავი გემნი ყოველ გვარ ასპარეზზე. აქ იმით დასახელებას ჩვენ ყოველად შეუძლებლათ ეთვლით. პოლიტიკურ ასპა-



მლოცველნი მეჩეთის წინ.

რეზნედაც ამერიკამ წამოაყენა „შესანიშნავი სარდლები და მეთაურნი, მაგრამ შეერთებული შტატების პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის, შესანიშნავი არიან უმეტეს ნაწილათ რესპუბლიკის პრეზიდენტები. უნდა შევნიშნათ, რომ ეს უკანასკნელნი საზოგადოთ შესანიშნავი არიან არა თავის სწავლით, არამედ ბუნებითი ნიჭით, შესანიშნავი, ჩვენთვის თითქმის წარმოუდგენელი, ენერგიით და ხასიათის სიმტკიცით. სწავლას იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობასაც მას ჩვენში აძლევენ, აქ თითქმის უკანასკნელი ალაგი უქირაავს. ამერიკის გამოჩენილ პრეზიდენტებს ზოგიერთ შემთხვევაში პირველ-დაწყებითი სწავლაც არ ჰქონიათ მიღებული, მხოლოდ გაოლთქმელი ენერგიის მეოხებით მიუხვდებიან იმათ ამ უმაღლეს ხარისხამდე. ამერიკის პრეზიდენტებში მსოფლიო სახელი აქვთ მოპოებული ვაშინგტონს (პირველი პრეზიდენტი) და აბრამ ლინკოლნს.

პრეზიდენტს ირჩევენ ოთხი წლის ვადით კონგრესი, რომელიც შედგება ერის წარმომადგენელთაგან. წელს გაუთავდა ვადა კლიველენდს, რომელიც 1892 წელს იქნა არჩეული. ჩვენს დროში საზოგადოთ ყველა სახელმწიფოებში, სადაც წარმომადგენლობითი წესწყობილება არსებობს, ხალხი, როგორც წარმომადგენლების, ისე თვით სახელმწიფოს უფროსების არჩევის დროს, რამდენსამე პარტიათ, დასათ, არის დაყოფილი და თითოეულ პარტიას სურს თავის კანდიდატი გაიყენოს რომელსამე სახელმწიფო ადგილზე. პარტიების საუბედელს შეადგენს ის გარემოება, რომ თვით საზოგადოებაში არსებობს განხეთქილება, რომ საზოგადოების ერთი ნაწილი ებრძვის მეორეს თავის პარტიული ინტერესების დასაცველათ. ყველა სახელმწიფოებში ამ ქამათ საზოგადოება ამნაირათ არის დაყოფილი: ძლიერ და უუღლებამაოსილ ძალას წარმომადგენს საზოგადოთ ყოველგან მდიდარი ბურჟუების, კაპიტალისტების, კლასი; იმას მისდევნ წერილი ბურჟუები, ხელოსნები, სოფლის წერილი მამულის მებატრონენი და სს, და შემდეგ პროლეტარები (მუშა ხალხი). ჩრდილოეთ ამერიკაშიაც ამ გვართ არის ხალხი დაყოფილი, მხოლოთ სხვადასხვა სახელწოდებით არიან ნილაბ-ჩამოფარებულნი. მაგ, მდიდარ ბურჟუაზიის წარმომადგენელთ იქ ეძახიან რესპუბლიკელებს; საშუალო ბურჟუაზია დემოკრატიულ დასის სახელით არის მონათლული (ეს უმეტეს ნაწილათ წინანდელი მონების მულობრეთაგან შედგება); მესამე პარტია, ჰუმულისტურ-საქსჟი, სოფლის წერილ მეურნეთაგან შედგება. მუშათა დასს ჯერ კიდევ არ აქვს ამერიკაში იმდენი ძალა, რომ რესპუბლიკის არჩევანში რაიმე გავლენა ჰქონდეს. მესამე და მეორე დასს თავი

ერთ პროგრამაში ბევრი რამ საერთო აქვთ, ამიტომ ისინი უმეტეს ნაწილათ პრეზიდენტის არჩევის დროს ერთდებიან და ერთ საერთო კანდიდატს ნიშნენ. არსებითი განსხვავება რესპუბლიკელებსა და დემოკრატებს შორის იმაში მდგომარეობს, რომ პირველნი მფარველობითი სისტემის (პროტექციონიზმის) მომხრენი და მოსარჩლენი არიან და უკანასკნელნი კი თავისუფალი ვაჭრობისა.

ამას წლევანდელ არჩევნებზე დაერთო ის საკითხი, მარტო ოქრო უნდა იყოს სახმარებლათ მიღებული, თუ ვერცხლიც. რესპუბლიკელებს ამნაირ საზომათ მიჩნიათ მხოლოთ ოქრო და ვერცხლის ფულის მოჭრას უარს ჰყოფენ; დემოკრატები კი იმ აზრის არიან, რომ სახელმწიფოს და ხალხის კეთილდღეობისათვის საჭიროა თავისუფალი მოჭრა როგორც ოქროსი, ისე ვერცხლისა.

წლევანდელ საპრეზიდენტო არჩევნებზე წამოყენებული იყვენ ორი კანდიდატი: ვილიამ მაკ-კინლეი რესპუბლიკელების მხრით და ვილიამ ბრაიანი დემოკრატების. როგორც მკითხველებმა იციან არჩევანზე გაიმარჯვა რესპუბლიკელების კანდიდატმა - მაკ-კინლეიმ.

მოგვყავს აქ მოკლე ბიოგრაფიული ცნობები ამ კაცის შესახებ.

მაკ-კინლეის გვარი შოტლანდიურ-ირლანდიურ შთამომავლობისაა. ვილიამის ერთი წინაპარი 1775 წელს გადასახლებულა ამერიკაში. ამ უკანასკნელის შვილი დაეთი გათავისუფლების ომის დაბოლოებას შემდეგ დასახლდა ოგაიოს შტატში და მიჰყო ხელი მეურნეობას. ახლათ არჩეული პრეზიდენტის მამა იყო ფაბრიკანტი ვილიამ და ის დაიბადა 29 იანვარს 1843 წელს. ადგილობრივი სკოლის დამთავრებას შემდეგ მან დაიწყო მოღვაწეობა პედაგოგიურ ასპარეზზე; მაგრამ ეს დიდ ხანს არ გაგრძელებულა; ვილიამმა ხელ-ახლა მიჰყო სწავლას ხელი კანონმდებლობის შესასწავლათ. ამ დროს ატყდა ამერიკაში შინაური ომი და ახლოვალა მაკ-კინლეი შევიდა ჯარში, სადაც მაიორის ხარისხი დაიმსახურა. ომის დამთავრებას შემდეგ ხელ-ახლა შეუდგა კანონმდებლობის შესწავლა და დაიწყო ექილობა თავის სამშობლო შტატში, ოგაიოში. ამას შემდეგ დაიწყო მან პოლიტიკური მოღვაწეობა, როგორც რესპუბლიკელთა მომხრემ. 1876 წ. მაკ-კინლეი იქნა არჩეულ კონგრესის წევრათ ვაშინგტონში და ეს ადგილი ექირა მას 1890 წლამდის. ამ დროს განმავლობაში მან მოინდომა პალატის სპიკერობის ადგილის დაქტრა, მაგრამ დამარცხდა. სამაგიეროთ ის არჩეულ იქნა საფინანსო კომისიის თავმჯდომარეთ. ამ ხნიდან იწყება მისი სახელი, როგორც მფარვე-

ლობითი ტარიფის შემოღებისა, რომლითაც მანკარი დაუტყდა ამერიკაში ევროპის ნაწარმოებს. ამ ტარიფის გამო მას სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს დემოკრატებმა და კიდევაც დააკარგინეს დემოკრატის ადგილი, რომელიც დაიჭირა 1890 წელს მისმა მოწინააღმდეგე დემოკრატმა.

ამას შემდეგ მაკ-კინლეი გადაესახლა ისევ თავის სამშობლო შტატში, ოგაიოში, სადაც წამოაყენა თავის კანდიდატურა გუბერნატორის ადგილზე; 1893 წელს ის არჩეულ იქმნა ოგაიოს გუბერნატორათ 70,000 ხმის უმეტესობით; ამ შემთხვევამ კიდევ უფრო დიდი ხმა მოუპოვა მაკ-კინლეის ხალხის თვალში და მას დიდი ხნიდან უყურებდნენ, როგორც კანდიდატს რესპუბლიკის პრეზიდენტის ადგილზე.

ხსიათის სიმტიცით და ენერგიით, მაკ-კინლეი საზოგადოთ ნამდვილი ამერიკელის ტიპს წარმოგვიდგენს, ამას მისი გარეგანი შეხედულებაც საკმარისათ გამოხატავს.

მ.



### ჭ ლ ე ქ ი.



ჭლექი იმ სენთაგანია, რომელიც მთელ დედა-მიწაზე მოდებულია; არც ერთი სენი ისე არ უტყდავს კაცობრიობას, როგორც ეს ავთამყოფობა. ხოლერა, შავი ჭირი და სხვა ამ გვარი საშინელი ავთამყოფობანი, რომლის მარტო გავრცელება კი აღამიანს შიშს მოჰგვრის, არ არიან ისე საშიშნი, როგორც ჭლექი. მარტო საფრანგეთში, როგორც სტატისტიკა გვაჩვენებს, ჭლექით ყოველ წელიწადს ასი ათასამდე კაცი იხრცება. ახლა თქვენ იკითხაეთ, თუ მართლა ასე საშიში ყოფილა ეს ავთამყოფობა, რათ ეართ ასე მოურიდებელნი და უშიშარნი. ეს მით აიხსნება, რომ ჭლექი იმ გვარი ავთამყოფობაა, რომელიც აღამიანს უცბათ კი არ უსპოს სიცოცხლეს, არამედ ნელ-ნელა უწამლავს სხეულს და უმოკლებს დღეებს ტყვილათ კი არ არის ჩვენში ნათქვამი, რომ შეჩვეული ჭირი ჯობია შეუჩვეულ ლხინსაო. საზოგადოთ აღამიანის ბუნება იმ გვარია, რომ მხოლოთ ის აღელეებს მას, რაც უეცრივ და სიჩქარით ხდება და რასაც ხანგრძლივი მიმდინარეობა აქვს, იმას ძლიერ ცოტა გავლენაც აქვს.

ჩვენ დროში თითქმის ადგილი არ არის დედა-მიწაზე, სადაც ეს სენი არ მძინეარებდეს; დიდ ქალაქებში, სადაც ხალხი შეჯგუფულათ ცხოვრებს, ხომ მუსრს აღენს.

რასაკვირველია, ჭლექი იმიტომ არის მოდებული მთელ დედა-მიწაზე, რომ ეს ავთამყოფობა გადამდები სენია - კონტაგიოზია.

1865 წელს Villemin-მა, ფრანგმა მეცნიერმა, პირველათ გამოაცხადა პარაზის სამეცნიერო აკადემიის სხდომაზე, რომ ჭლექი გადამდებიაო; ხოლო აკადემიამ არ შეიწყნარა ეს აზრი და სრულყოზით უარჰყო. არ გასულა დიდა ხანი, რომ ამას მიემხრენ მრავალი სხვა მეცნიერი, რომლებთა შორის იყო გამოჩენილი Hérard-ი, თუმცა მოწინააღმდეგენიც ბევრნი იყვენ. ოცდა რვა წელს შემდეგ სახელგანთქმულმა გერმანელმა მეცნიერმა კოხმა აღმოაჩინა ჭლექის ბაცილა, რომელიც, როგორც დამტიცდა, ყოფილა ჭლექის გავრცელების მიზეზი.

ამ ბაცილას დაერქვა მეცნიერებაში სახელათ „კოხის ჩხირი“, რადგან ეს ბაცილა, როგორც მიკროსკოპი გვაჩვენებს, თავისი ფორმით მოგვაგონებს პაწაწკინა ჩხირს. ასე, რაც Villemin-მა თქვა ოცდა ათი წლის წინეთ, სრულყოზით დაგვიტყვიცა კოხმა ამ ბაცილის აღმოჩენით. ამ გვართ ეს დიდებული აზრი პირველათ საფრანგეთში დაიბადა.

აქ სხვათა შორის საყურადღებოა ის, რომ, როდესაც განათლებული ევროპა იმის კამათში იყო-გადამდებია ჭლექი თუ არაო, ველურ ხალხთა შორის დიდი ხანია ჭლექი ცნობილი იყო, როგორც გადამდები სენი და ძლიერაც ერიდებია მას <sup>1)</sup>.

Crevaux, გამოჩენილი მოგზაური, მოგვითხრობს, რომ ინდოელი ხალხი ძლიერ მორიდებით უყურებს ამ სენს; უცხოელს იქ მისულს არასოდეს არ მიეკარებია, თუ შენიშნეს, რომ ახველებს. ამასთან არამც თუ აღამიანს ერიდებია, არამედ მის ტანისამოსს და ნივთებსაც, ამას მათ თავის შენახვის ინსტინქტი ეუბნება. ამას გარდა ამ ხალხს გამოცდილებაც აქვს ამ სენის შესახებ: ამერიკაში ჭლექი სრულყოზით უცნობი ავთამყოფობა იყო, სანამ იქ ევროპელები არ გადასახლდნენ, რომლებმაც პირველათ შეიტანეს იქ ჭლექი. არის ერთა კუნძული, სადაც არასოდეს არავინ ჭლექით ავთ არ გამხდარიყო; ხოლო ერთ დროს თითქმის სრულყოზით ამოწყდა ხალხი ჭლექით, რომელიც იქ გავრცელდა მას შემდეგ, რაც ერთი ჭლექიანი მისიონერი დასახლდა ქრისტიანობის ვასაერცელებლათ.

1) ჩვენ ძველ კარაბადინეუშიაგ ჭლექი გადამდებ სენათ არის მიდებული, საზოგადოთ ჩვენი ხალხი დიდი ხანია დაწმუნებული ყოფილა ამ ავთამყოფობის გადამდებ თვისებაში. ესე, რას ნიშნავს ეს ათას გგ.რი ჩვეულებანი, რომლებიც დღემდის გავრცელებულია ჩვენში ჭლექიანების შესახებ.

ქლექის გადამდებობა ძლიერ აშკარაა, იქ ნამეტურ, სადაც რამდენიმე სულია ერთათ შეგჯუფული, როგორც, მაგალითათ, საპრობილეები, კაზარმები და სხვა. თუ რამდენათ დიდი ძალა აქვს ქლექის გადამდებობას, შემდეგი მაგალითი გვიჩვენებს: ერთი ოვერნელი (Auvergnat<sup>2</sup>) ჩამოვიდა პარიზში და დაიწყო მენახშირეობა; ეს ოვერნელი ქლექიანი იყო; მუდამ ახველებდა და ნახველი ამოჰქონდა. არ გასულა დიდი ხანი, რომ ერთი ახალგაზდა — ჯანმრთელი ქალი შეუყვარდა და შეირთო; მაგრამ ერთ წელს შემდეგ დაქვრივდა: ცოლი მოუყვდა ქლექით, რომელსაც აშკარაა ქმრიდან გადაედო. ჩვენმა მენახშირემ ცოტა ხანს იგლოვა ცოლი და მერე მეორე შეირთო: ეტყობა, რომ მოსიყვარულე გული ჰქონდა, ვინ იცის, იქნება მხოლოდ თავის ნახშირის ყურის მგდებელი უნდადა. ხოლო სამწუხაროთ ეს მეორე ცოლიც მალე მოუყვდა ქლექით. ამ გვართ ჩვენმა მენახშირემ რამდენისამე წლის განმავლობაში ხუთი ცოლი გამოიცვალა და ყველანი ქლექით დაიხოცენ, სულ ქმრისგან გადაედო.

Léon Petit თავის პრაქტიკიდან კიდევ ერთს ამ გვარ მაგალითს მოგვითხრობს: ერთი ჩემ პაციენტთაგანი S. შეპრობილი იყო ქლექით და ჩემის აზრით მოურჩენელი. ერთ დღეს მოვიდა ჩემთან, რჩევა მკითხა, შეერთო ცოლი თუ არა. მე მიუხე, განაგრძობს ეს აეტორი, — რომ ჯერ თქვენ ავთ ხართ და მერე კი, როცა მორჩებით, შეგიძლიათ შეერთოთ. ამის მიუხედავად S. მალე დაიწერა ჯვარი; მაგრამ არ გასულა დიდი ხანი, რომ მოკვდა ქლექით და დატოვა ახალგაზდა ქვრივი.

ახალგაზდა ქვრივი ცოტა ხნის გლოვას შემდეგ გათხოვდა, მაგრამ მალე გამოაჩნდა ქლექის ნიშნები და შეიქნა მისი მსხვერპლი, ამისმა ქმარმა მეორე ცოლი მოიყვანა, მაგრამ მალე ორივენი ქლექით დაიხოცენ. ასე გაგძეღდა ეს დრამა რამდენსამე წელიწადს. მასასადამე აქედანაც დარწმუნდება მკითხველი, თუ რა მძლავრი ყოფილა ქლექის გადამდები ძალა.

ქლექი გადადის არამც თუ ადამიანიდან ადამიანზე, არამედ პირუტყვებზედაც.

Nocard ერთს შემთხვევას მოგვითხრობს, რომელიც მოწმობს ამ ზემო მოკვანილ აზრს: ერთ ფერმაზე გაჩნდა რალაც უცნობი სენი, რომელმაც სრულებით დახოცა ქათმები. მოიწვიეს ბეთალი, იმან გამოიკვლია და აღმოაჩინა რომ ქათმები ქლექით იყვენ ავით; ამასთან ისიც აღმოაჩნდა, რომ

ქათმებს ეს ქირი გადადებოდათ იმ ქალიდან, რომელიც მათ საკენეს აძლევდა. თურმე ეს დედაკაცი დიდი ხანი იყო ავით ქლექით, მუდამ ახველებდა და ნახველი ამოჰქონდა, ამასთანავე მუდამ ტანიდან საქმება ჰქონდა და, აი აქედან გადაედით ქათმებსაც.

იქვე ვკითხულობთ: ერთ ქლექით ავითმყოფს ორი ერთგული ძალღი ჰყავდა; ამათ ისეთი სიყვარული და ერთგულება ჰქონდათ პატრონისა, რომ როგორც კი მას ამოაღებინებდა ნახველს, მაშინვე მიციენდებოდენ და შეჰქამდენ. რამდენსამე ხანს შემდეგ ეს ძაღლები დაიხოცენ ქლექით.

ახლა ჩვენ ვიტყვი იმის შესახებ, თუ რა საშუალებით გადადის ქლექის სენი ერთიდან მეორეზე; არც სიანლოვე და ერთათ ცხობრება ქლექიანთან, არც მასთან ერთათ სმა-ჰამა და არც ოფლი და მისი სუნთქვა არ არის გადამდები; მხოლოდ ნახველშია საწამლავი და გადამდები ძალა და ეს ძალა მდგომარეობს იმ ბაცილებში, რომელიც კოხმა აღმოაჩინა და რომელსაც „კოხის ჩხირი“ ჰქვია. ქლექიანს ნახველთან ერთათ ეს ბაცილები ამოაქვს; ნახველი ხმება და იქცევა მტერთა და ერთეის ჰაერს; ამ მტერთან ერთათ „კოხის ჩხირებიც“ გადადის ჰაერში. რასაკვირველია, იმ ოთახში და იმ ადგილას, სადაც ამ გვარი ავითმყოფია, ჰაერი სავსეა ამ ბაცილებით; ჩვენ კი ჰაერთან ერთათ ვსუნთქვით და ველაპავთ ბაცილებს. უნდა შევნიშნათ, რომ ეს ბაცილები ძლიერ დიდ ხანს ინახვენ თავის მომწამლაჲ ძალას; არც სიცივეს და არც სიცხეს არ აქვს მათზე გავლენა.

პირველათ, სადაც ბაცილები დაიწყებენ გამრავლებას, ეს ჩვენი ფილტვებია, რადგან ამ ჩვენ ორგანოს მუდამ ჰაერთან აქვს საქმე, რომელთანაც ერთათ შედის ფილტვებში „კოხის ჩხირებიც“. თუ ჩვენი ფილტვები აგებულებით სუსტია, ან და დაზიანებულია ავითმყოფობით (სხვა-და-სხვა გვარი ფილტვების ანთებით) მაშინ, ნიადაგი მომზადებულია და „კოხის ბაცილები“ იწყებენ გამრავლებას და ახდენენ იმ პათოლოგიურ ცვლილებას ფილტვებში, რომლის გამო წარმოადგება ქლექი. ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ ფილტვები არის ის ადგილი, სადაც პირველათ და უფრო ხშირათ ჩნდება ქლექი; თუმცა აქვე უნდა დავუმატოთ, რომ არ არის იმისთანა ორგანო და ნაწილი ჩვენი სხეულისა, სადაც არ შეეძლოს „კოხის ჩხირებს“ გამრავლება. უკანასკნელ დღეებში ქლექიანის მთელი ტანი გატენილია ბაცილებით.

ქლექის გადამდებობაში და გავრცელებაში დიდი ადგილი უჭირავს აგრეთვე მემკვიდრეობას. თუ რამდენათ ღრმა გავლენა აქვს მემკვიდრეობას ბიოლო-

<sup>2</sup>) Revue Scientifique: Léon Petit—Tuberculose et mariage.

გიაში ეს ნათლათ გეაჩენა დიდებულმა დარენმა; ამ ბოლო დროს მემკვიდრეობას დიდ მნიშვნელობას აძლევენ მედიცინაშიაც. აღმოაჩინეს მრავალი ავთომყოფობანი, რომლებიც მემკვიდრეობით გადადიან დედ-მამიდან შვილებზე; მათ რიცხვს ეყუთენის ქლექიც. ხოლო ამის შესახებ მედიცინაში კიდევ დიდი კამათია და ჯერ არ არის გადაწყვეტილი, თუ რამდენათ ღრმა გავლენა აქვს მემკვიდრეობას ქლექზე. უმრავლესობა იმ აზრისა არის, რომ ქლექი აუცილებლათ გადადის მემკვიდრეობით; ქლექიან დედ-მამას ავთომყოფი შვილები ეყოლებათ. ხშირათ გავა თხმუთმეტი-ოცი წელიწადი, რომ შვილებს მერე გამოაჩნდებათ ქლექი; ამ გეარ მოვლენას მედიცინაში იმით ხსნიან, რომ ბავშვს ტანში აქვს თესლი და რამდენსამე წელს შემდეგ გამოაჩნდება ნამდვილი ქლექის ნიშნები. ასე რომ ცოლქრობა შეუძლებელია, იმათი აზრით, თუ რომ ან ქმარი და ან ცოლი ქლექიანია. ხოლო მეორე ჯგუფი მეციწერებისა ასე სასოწარკვეთილებით არ უყურებს ამ კითხვას. ამათი აზრით საეჭვოა, რომ ქლექი, როგორც თვით ავთომყოფობა, გადავიდეს მემკვიდრეობით; გადადის მხოლოთ მიდრეკილება ამ სენისადმი. თუ რომ ბავში კარგ ჰიგიენურ გარემოებებში ჩაეარდა, სიბერემდის ისე მიაღწევს, რომ ქლექის ნიშნები არ გამოაჩნდება. მიდრეკილება ამათი აზრით იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვს სუსტი აგებულება დაჰყვება საზოგადოთ და კერძოთ სუსტი ფილტვები, რომლებიც, როგორც ზემოთ ვთქვით, არის ორგანო, სადაც ყველაზე ხშირათ „კონის ჩხირები“ იწყებენ გამრავლებას. მასასადამე ორი გზა ყოფილა, რომდენითაც ქლექი ვრცელდება: ერთი ის, რომ გადამდები სენია, რომლის მიზნს შეადგენენ ბაცილები; მეორე გზა—არის მემკვიდრეობა, ან და თუ მიემხრობით მეორე აზრს მიდრეკილება ქლექისადმი, რომელიც მითი განიჩევა მემკვიდრეობიდან, რომ ის ძალა არ აქვს, როგორიც ამ უკანასკნელს.

ანლა ჩვენ ვიტყვით იმის შესახებ, მოსარჩენია ეს სენი თუ არა?

Laënnec ერთს თავის თხზულებაში ამბობს: მრავალმა მაგალითებმა დამარწმუნეს, რომ რაც უნდა მიიმეთ იყოს ავთ ქლექით ადამიანი, თუ ჩაეარდა კარგ გარემოებებში შეუძლია მორჩესო. Cohnheim-ი სხვათა შორის ამბობს, რომ ქლექი მოსარჩენია ყოველ პერიოდში—ხანაში; არ არის იმისთანა ექიმიო, რომ არ ჰქონდეს შემთხვევა ქლექიანის მორჩენისო.

გამოჩენილ საფრანგეთის კლინიციტს Hanot\*)

\*) La Semaine médicale 1896 წ.

მრავალი მაგალითები მოჰაეს, რომლებიც აშკარათ გვიმტკაცებენ, რომ ქლექიანი, მორჩენა სრულეზით შესაძლებელია. სამწუხაროთ კი ჯერ-ჯერობით მედიცინამ არ იცის ნამდვილი წამალი ქლექისა. ამ რამდენისამე წლის წინათ გაიოჩენილმა კ.ნმა, ეითომ გამოიგონა ახალი წამალი, ტუბერკულინი, რომელმაც ააღლევა მთელი ქვეყანა, მაგრამ სამწუხაროთ სრულეზით უფარგ-სი წამალი გამოდგა და მხოლოთ ჩარქი მოცხო კონის დიდებულ სახელს. ათასობით გავშურენ ბერლინისკენ ქლექიანები, რომ შეება მისცემოდათ ამ ახალი წამლიდან, მაგრამ არამც თუ შეღავათი მიიღეს ამ წამლიდან, არამედ მრავალი მათგანი დაიხოცა ზოგი გზაში და ზოგიც მღელვარებისაგან. ერთათ-ერთი წამალი ამ სენისა არის ჰიგიენა, წჰინდა ჰაერი. ექიმები ქლექიანებს ურჩევენ ხოლმე მალლობ ადვილს საცხოვრებლათ, რადგან მალლობზე ჰაერი უფრო სუბუქია სასუნთქვათ, და საჭმელი, რასაკვირველია, ნოყიერი და მასთან ადვილი მოსანელებელი.

რადგან ქლექი გადამდები სენი ყოფილა, მასასადამე უნდა ვერიდოთ ქლექიანებს; მაგრამ ეს მორიდება იმაში კი არ უნდა მდგომარეობდეს, რომ ამ გვათ ავთომყოფს არ უნდა მივეკაროთ და განზე გავუბროდეთ, არა. ეს სულ მეტია, რადგან, როგორც ზემოთაც ვთქვით, საწამლაეი მხოლოთ ქლექიანის ნახველშია და ამას უნდა ვერიდოთ.

უნდა მივიღოთ საშუალება, რომ ეს ნახველი არ შეიქნას ქლექის გავრცელების და გადადების მიზეზი. ყოველი ყურადღება უნდა იყოს მიტყეული მახე, რომ ავთომყოფებმა წარა-მარათ არ აფურთხოთ ნახველი; უნდა ჰქონდეთ განსაკუთრებული საფურთხებელი—ჭიქა, რომელიც, როგორც კი აიხსება ნახველით უნდა გამოირეცხოს მღულარე წყლით, ნახველი კი მღულარე წყალში უნდა გამოიხარშოს; მხოლოთ ბაცილები მაშინ იხოცებიან და ჰკარგავენ თავის მომწამლაე ძალას.

გ. ბაღრაძე.

წერილი რედაქციის მიმართ.



—ნო რედაქტორო! როდესაც ვისმე შეურაცყოფას აყენებენ, საჯაროთ, მე მგონია, რაც უნდა სუსტი პასუხი წარმოადგინოს, მაინც მას უნდა მისცენ საშუალება თავის გამართლებისა იმაე მკითხველი საზოგადოების წინაშე. ამიტომ ვთხოვთ

ამ წერილს ადგილი მისცეთ, „კეალის“ უმანლობ-  
ლეს ნომერში.

„კეალის“ ამ წლის 44 №-ში არის დასტამბული  
„მოგზაურობა“ „იოზაი მეთვალყურესი“, რომელიც  
უსამართლოთ და უსაფუძვლოთ ცილის გეწამებს და  
მეტის-მეტ შეურაცხყოფას გვაყენებს, როდესაც ს.  
აკეთზე ლაპარაკობს. აი, იმისი სიტყვები: „სოფელ  
აკეთს ბევრ კარგ თვისებასთან, ბევრი ცუდიც აქვს...  
ზემო აკეთში დაუარსებიათ სიმინდის მაღაზია, და  
ფული უგროვებიათ, მაგრამ აქაურ ერთ ვაჭბატონს  
შეუწინებია: თუ ახლად არ დაანგრეთ ამ მაღაზიას,  
ვეცდებით, რომ ეს მოგროვილი ფული და სიმინდი  
დაგიკარგათო. ესევე ვაჭბატონი ავითმყოფის საზიარ-  
ებლათ მანეთს თხოულობს თურმე და ამბობს: მამ  
ტყუილა-უბრალოთ რათ მივიღო შრომაო. ერთა  
ყმაწვილი წეს-აუგებელი დაუმარხავთ, რადგანაც ეს  
ბატონი 6, 7 მანეთს არ დასჯერდა თურმე. უკანას-  
კნელი 12 მანეთი აქვს დადებული ამ ვაჭბატონს  
გარდაცვალებულის დასამარხი.“ ამკარაა წერილიდან,  
რომ ეს „ვაჭბატონი“ ზემო აკეთის მღვდელია. ხო-  
ლო ზემო აკეთის მღვდელი მე გახლავართ და, მა-  
შასადამე, ყველა ეს დანაშაულობა თურმე მე ჩამიდ-  
ნია. საქმე ის არის, რომ შეიძლება კაცმა მართლა  
მომხდარი ფაქტი აიღოს და ეს გააზვიადოს; მაგრამ  
მთელი ტყუილის შეთხზვა კი საკადრისი არ არის.  
არ ყოფილა მაგალითი და არც არავის შეუძლია ჩე-  
მი მოქმედებიდან მიჩვენოს, რომ ავითმყოფის სა-  
ზიარებლათ ოდესმე რაიმე გვეთხოვოს. ეს ჩვეულე-  
ბათაც არ არის ჩვენ სოფლებში. არ ყოფილა მაგა-  
ლითი, რომ ყმაწვილის დასამარხათ არამც თუ 6, 7,  
არამედ 2, 3 მანეთი შემოედლით ჩემთვის და მერე მე  
ეს დამეყვებინებო და წეს-აუგებელი დემარხოთ  
ვინმე. არ ყოფილა მაგალითი, რომ ოდესმე ჩენ-  
თვის, არამც თუ 12, არამედ 6 მანეთი მოეცეთ გარ-  
დაცვალებულის დასამარხი. არამც თუ არ ყოფილა,  
ამნაირი მაგალითი, არც აწი დასაზიარებდა ისე ჩენი  
მიმართულება, რომ კომერციულ ზომას მიემართოთ  
ოდესმე. იქნება ამით ის უნდოდა ეთქვა იოზა მე-  
თვალყურეს, რომ ზოგიერთებს ვართმევთ ცოტაო-  
დენს წესების ასასრულებლათ? რაც შეეხება მაღა-  
ზიას, მართალია, ეს არსებობდა აქ, მაგრამ ჩვენ თი-  
თონ ეთავიბდით, ჩვენ თითონ შევადგინეთ ამას და-  
არსებაზე განაჩენი. არ გასულა არც ერთი უქმე დღე,  
რომ არ გვესაუბროს მის მნიშვნელობაზე. თუ შე-  
ჩერდა ეს საქმე, იმიტომ, რომ ამ მოუსაგლობის წე-  
ლიწადს ვიღამაც სიმინდი მოგვპარა. არ ვიცი რა სარ-  
გებლობა უნდა მომცემოდა მე, როდესაც გლეხები  
თავიანთ საერთო სასიმინდს გააუქმებდნენ. ნეტავი რამ  
აიძულა ვიღაც იოზაია, რომ ასეთი შეურაცხყოფა მო-

ეყენებია ჩემთვის? ალბათ მასალა გამოლევია გური-  
ის ცხოვრებიდან დასაწერი. მაგრამ შესაძლებელია  
ისიც, რომ იოზაის პირით სულ სხვა ლაპარაკობდეს  
ეს ვაჭბატონები ვითომ მოღვაწეთა ქერქში არიან  
განეეული, და ტყუილა სახელს უფუჭებენ სხვებსაც.  
ამათ არა ერთხელ ჩავარდნიათ ენა ჩემთან. აი ამათზე  
უნდა დაეწერა ბ. იოზაი მეთვალყურეს და არა ჩემ-  
ზე.

ჩვენ საკუთარი შრომით და ხარჯით დავაარსეთ  
სკოლა და უსასყიდლოთ ვასწავლით ყმაწვილებს.  
უქმე დღეს ჯერ ეკლესიაში და შემდეგ ისევ ჩენი-  
ვე შრომითა და ხარჯით დაარსებულ საკვირაო სკო-  
ლაში ვცისრულობთ ისევ უსასყიდლო შრომას მო-  
ზრდილთათვის, მაგრამ კმარა, რომ თავის ქებით არ  
ჩამოგვართვან. რა საჭირო იყო „იოზა მეთვალყუ-  
რე“ ან თქვენი ან ჩემი ვინაობის დაფარვა ამ შე-  
მთხვევაში, თუ თქვენ მართლის მთქმელი ხართ?  
დიდს მადლობას ვეტყვით ყველას, ვინც ჩემ ნაკლუ-  
ლევანებას მიჩვენებს, მაგრამ ტყუილის შეთხზვისა და  
ტყუილათ ჩირქის მოცხების ნებას არავის მივცემ.  
ეთხოვთ ბ. იოზაი მეთვალყურეს გამოაცხადოს თა-  
ვისი ვინაობა და საბუთი ჩემი შეურაცხყოფისა.

მღ. დომიდე ჩხაიძე.



უცხოეთის ქრონიკა.



ტალიასა და აბაშეთს (აბესინიას) შორის ჩა-  
მოვარდა მშვიდობიანობა. 26 გასულ ოქტო-  
ბმერს, ალი-საბურში, ორივე სახელმწიფოს  
წარმომადგენლებმა მოაწერეს ხელი ზავის პირობებზე.  
ეს პირობები მოწმობენ, რომ აბაშეთის მეფეს, ნე-  
გუს მენელიკს, საკმარისი პოლიტიკური გამჭირაბო-  
ბა და წინდახედულობა ჰქონებია. მეორე მხრით,  
თვით იტალიის ერისათვისაც ამ ზავს საუკეთესო მნიშე-  
ვნელობა ექნება, რადგანაც იტალია დიდ გაჭირვება-  
ში იყო ჩავარდნილი აბაშეთთან ომის გამო. აი, საქ-  
მე რაშია: ახლათ ადგენილ და გაერთიანებულ იტა-  
ლიის სახელმწიფოს თავის შინაგანი და გარეგანი  
ძლიერების მოსაპოვებლათ, აუცილებლათ უნდა მი-  
ემართა იმ საშუალებათათვის, რომლებსაც მეოხებით  
დაწინაურდნენ და გაძლიერდნენ თანამედროვე ევრო-  
პის უდიდესი სახელმწიფოები. ეს საშუალებანი მდგო-  
მარეობდნენ მრეწველობის და აღებ-მიცემობის გან-  
ვითარებაში, რისთვისაც საჭირო იყო არა მარტო  
შინაური ბაზარი, არამედ გარეშეც. თანამედროვე  
სახელმწიფოები, რომლებიც ეკონომიურათ დაწინაუ-

რებულნი არიან, უმეტეს ნაწილათ სხვა ქვეყნებში ასაღებენ თავიანთ ნაწარმოებს. იტალიაც ასე უნდა მოქცეულიყო, თუ არა და საერთა-შორისო საქმეებში მას არავითარი წილი არ ექნებოდა, რადგანაც, როგორც ეკონომიურათ დაქვეითებული ქვეყანა, ის ყველასათვის უმნიშვნელო იქნებოდა. ამიტომაც იტალია შეუდგა თავის ნაწარმოებთათვის ბაზრის მოპოვებას, რასაკვირველია, გარეთ, უცხოეთში. ეს გზა იტალიისთვის ძლიერ საზოთირო იყო და პირველათ ამას თვითონაც კარგათ გრძნობდა, მით უმეტეს, რომ საერთა-შორისო ბაზარზე მას, შედარებაც არ შეიძლება, იმისთანა ძლიერი, გამბედავი და ამასთანავე მეტათ გამოცდილი მოცილებები ჰყავდა. მაგრამ ერთმა გარემოებამ წაიტყუა იტალია ამ სახიფათო გზისკენ. ეს გარემოება გამოიწვია საფრანგეთ-გერმანიის ომმა 1870 წელს.

დამარცხებული საფრანგეთის ერი, რომელსაც პრუსიის მეფემ ძალათ ჩამოაცალა ორი შესანიშნავი პროვინცია, გამოუთქმელი შურისძიების გრძნობით განიმსჭვალა გერმანიის წინააღმდეგ. თუმცა გერმანია იმდენათ ძლიერი კი იყო, რომ მართო გაცეა პასუხი საფრანგეთისათვის, მაგრამ ნათქვამია: „სიფრთხილეს თავი არ ტყივია“; გერმანიამაც, ანუ, მართლა რომ ეთქვათ, ბისმარკმა, საფრანგეთას ლტოლვილების წინააღმდეგ სამთა კავშირი შექმნა. გერმანიამ, ავსტრო-უნგრეთსა და იტალიამ პარობა შეკრეს ერთმანეთ შორის, რომ, თუ ერთ იმათგანს ომი მოუხდა რომელსავე არა მოკავშირე სახელმწიფოსთან, იმ შემთხვევაში, დანარჩენი ორი ყოველ გვარ დახმარებას მისცემს მასო. ამ გარემოებამ უფერათ იტალიას უდიდეს სახელმწიფოთა ჯგუფში ამოაყოფინა თავი და კიდევაც ამყობა დააწყებია. სწორეთ ამ ამყობის შედეგი იყო ის, რომ იტალიამ ომი აუტყენა აბაშეთს.

იტალიას აბაშეთის საზღვარზე აქვს პატარა კოლონიის ერიტრეა: იტალიას დიდი ხნიდან სწადადა ამ კოლონიის საზღვრების გაფართოება, რა თქმა უნდა, აბაშეთის მიწებით და ამასთანავე თვით აბაშეთის მიღება თავის მფარველობას (პროტექტორატის) ქვეშ. მაგრამ ამ განზრახვამ საშინლათ განარისხა მთელი აბაშეთის ხალხი და მისი მეფე. ატყდა ომი, რომელშიაც სასტიკათ დამარცხდა იტალიის ჯარი: ნახევარზე მეტი გაწყდა, ბევრი ტყვეთ წაიყვანეს და დანარჩენი საშიშარ მდგომარეობაში იმყოფებოდა. აის გამა შეწყუბულმა იტალიის ერმა მთავრობას ომის შეწყვეტა მოთხოვა. დროებით შეჩერებულ იქმნა ომი, ამასთანავე კრისპის სამინისტრო დაემხო, უფროსი სარდალი აფრიკის ჯარებისა, ლენერალი ბარატერი, სამართალში მისცეს. ერთი სიტყვით, იტა-

ლიის დამარცხებამ აფრიკაში იმნაირი თევზარ-დამცემი გაელენა იქონია ყველაზე, რომ ერთ დროს ხმა დადიოდა, ერთომც ამის გამო თვით გუმბერტს, იტალიის მეფეს, სურს ტახტის თავის დანებებაო. ომის შეჩერებას შემდეგ გავიდა თითქმის ნახევარი წელიწადი და სასამოვნო კი არაფერი გვესმოდა იტალიის და აბაშეთის შესახებ. უნდა შეეკრათ ზევი, მაგრამ იმ დროს, როცა აბაშეთი თხოულობდა, რომ იტალიამ სამუდამოთ უარი განაცხადოს აბაშეთის მფარველობაზე, რომ პირველმა დაუბრუნოს უკანასკნელს წართმეული მიწები და ამასთანავე უზღოს მას ომის ხარჯი, იტალიის მთავრობას კი იმავე დროს სასირცხლოთ მიანდა ნახევრათ ველური და ნახევრათ ბარბაროსული სახელმწიფოს მოთხოვნილების დაკმაყოფილება და თავის წინანდელ განზრახვებზე სრულებით ხელის აღება. საქმის ამნაირ გარემოებამ დაბადა ყოყმანი, რომელიც ლამის რამდენჯერმე ხელ-ახალ ომით არ გადაიქცა. ყველასათვის ცხადი იყო მხოლოთ ის, რომ იტალიის მთავრობას მეტი ღონე აღარსად ჰქონდა: ის უნდა დათანხმებულიყო მენელიკის პირობებზე. იტალიის ტყვეების მდგომარეობა ბარბაროს—დესპოტის ხელში მეტათ სამწუხარო იყო. ახლა, როგორც ვიცით, ამ გამწვავებულ მდგომარეობას ბოლო მოეღო ზავის შეკერით. აი, უმთავრესი პირობები ამ ზავისა: 1) უნდა გაუქმდეს უტჩალის ხელ-შეკრულობა, რომლის ძალით აბაშეთი იტალიის მფარველობას ქვეშ უნდა შესულიყო; 2) იტალიის კოლონიის, ერიტრეს, საზღვრათ მარებ—ველესა—მუნა მიღებული; 3) იტალიელ ტყვეებს უბრუნდებათ თავისუფლება. ამასთანავე, კონტრიბუცია, რომელსაც თხოულობს მენელიკი, ძლიერ თავაზიანათ და ზრდილობით არის გამოხატული: ხელ-შეკრულობაში ნათქვამია, რომ მენელიკი იტალიელ ტყვეების შენახვისათვის რამდენისავე თვის განმავლობაში თხოულობს ჯილდოს, რამდენსაც თვით იტალიის მთავრობა ინებებსო.

ასე დამთავრდა იტალიასა და აბაშეთს შუა ჩამოვარდნილი ბრძოლა. სამაგიეროთ აღმოსავლეთის საქმე, როგორც გავხეთები გვაუწყებენ, რომლის გამწვავების გამოსათქმელათ ჩვენ არც კი გვეყოფნის სიტყვა, ისე იმ განუსაზღვრელ, ისე იმ შემადრწუნებელ მდგომარეობაში იმყოფება. ყველას მოჭარბდა ერთ და იმავე უსაფუძვლო ამბების, თუ ქორების და ინტრგების გავრეხა იმის შესახებ, რომ ვითომც აი, ოსმალეთის მთავრობას ახალი რეფორმები შემოაქვსო, გაუმჯობესობას ეგპირდებაო და სხვ. მოგვბეზრდა აგრეთვე იმის გავრეხა, რომ ევროპის სახელმწიფოები შემდეგში მაინც ნებას აღარ მისცემენ პორტის უდანაშაულო ხალხის ქლეტისას, რომ

აღრე თუ გვიან აიძულდებენ მას დახოცვის შეწყვეტას, რადგანაც ამით ზოგაერთ შემთხვევაში იმათი ინტერესებიც იჩაგვრებან. თითქმის ინგლისშიაც აღარ ეწყდათ ჩვენ დღეს იმ გულწრფელ გატაცებას სომხების საქმით, რომელსაც წინეთ ვამჩნევდით; იქაც ყველაფერი მიყუჩებულია და აქა იქ თუ ვაიგონებთ ამა თუ იმ პოლიტიკური დასის მეთაურის სიტყვას, რომელშიაც ათი-ათასჯერ დაღუპულ ფრაზებს გაიგონებთ იმის შესახებ, რომ ოსმალეთის მდგომარეობა ერთობ აუტანელია, მაგრამ საჭიროა ყველა სახელმწიფოები შეთანხმდნენ ამ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. ერთი სიტყვით ეს ისეთი ხანაა, როცა თავის საკუთარი, დამოუკიდებელი აზრის წარმოთქმა ყველას გაჭირვება და უაზრობის და ბინდ-ბუნდი აზრის წარმოქმნაში ერთი მეორეს ეჯობრებან. საგულსხმა ამ მხრით ჰანოტოს მიერ წარმოთქმული სიტყვა საურანგეთის პარლამენტში. ჰანოტოს სიტყვიდან გამოდის, რომ ევროპას კიდევ უნდა ჩაეროს სომხების საქმეში და არც უნდა, მაგრამ უფრო კი ის გამოდის, რომ არ უნდა ჩაეროს, სწორეთ ასე გაიგეს ეს სიტყვა სტამბოლში.

ამაირი მეგობრობაზე სულთანსაც არ შეეძლო, რომ არ გაცეკა პასუხი; მან დაუყოვნებლივ აცნობა საფრანგეთის ელჩს სტამბოლში, რომ ევროპის დასაყმარებლათ შემდეგ ზონებს მივიღებო. ეს ზომები კი აშკარათ ღალატდებენ იმას, რომ ოსმალეთი მხოლოდ ათამაშებს ევროპის დიპლომატებს. ოსმალეთის მთავრობის ახალი დაპირებანი წარმოგვიდგენენ შემდეგ ოთხ პირობას: 1) ვათავისუფლებთ იმ ტუსათა, რომელთაც აწავითაჩი დაწამაუფლო და ჩაუდენიათ; 2) პოლიციას აღეკრძალება უღანაშაულო და უმიზნო მოქმედების დგენა; 3) სომხების სახალხო კრების მოწვევა პატრიარხის ასარჩევად და 4) დეკრეტი, დაპირებული რეფორმების განხორციელების შესახებ. პირველი ორი პირობით, როგორც მკითხველი თითონ ხედავს, პორტა აშკარათ ცნობს თავის დანაშაულს, მესამე სისრულეში შევიდა, მაგრამ ყოველდღე უმნიშვნელოა; რაც შეეხება მეოთხე პირობას — დეკრეტს, დაპირებული რეფორმების სისრულეში მოყვანის შესახებ, — ეს ზომ ახალი ამბავი არ არის; ამანიჩი დეკრეტები სულთანს არა ერთხელ გამოუტია მას შემდეგ, რაც ის ევროპას რეფორმების შემოღებას დაპირდა. ამ გვიჩინებინებთ რა სწავლა ოსმალეთის მთავრობას, ეს აღვილი გასაგებია. მაგრამ ხელ-ახლა მოტყუდებთ თუ არა ევროპა? — აი, თავი-და-თავი საკითხი. ყოველ შემთხვევაში ჩვენ არ შეგვიძლია ამ ქამათ უყურადღებოდ დავტოვოთ ის გარემოება, რომ ამ უკანასკნელ დროს სულ უფრო-და-უფრო წაგისმის ევროპის ქურნალ-გაზეთებში ხმა წავრთაშოოსი კონფერენციის მოწვევაზე ოსმალეთის საქმეების ვა-

მა. გაზ. „Koelnische Zeitung“-ი გვარწმუნებს, რომ ეს კონფერენცია მოხდება პეტერბურგში. საინტერესო ის არის, რომ გაზ. „Nord“-ი ამ ამბავს არ უარ-ჰყოფს, მხოლოდ ამბობს, რომ ამ კონფერენციისთვის ჯერ არც ადგილია დანიშნული და არც დროეო. უფრო საყურადღებოა ამ შემთხვევაში ის გარემოება, რომ თითქმის ყველა ელჩებს დაუტოვებიათ ამ ქამათ სტამბოლი. მაგრამ დასაღვთ ვეროპის ქურნალ-გაზეთობას ყველაზე უფრო ინტერესებს რუსეთის ელჩის, ბ. ნელიდოვის, გამგზავრება პეტერბურგში. ევნის ოფიციალური გაზეთის „Politische Correspondent“-ის სიტყვით, ბ. ნელიდოვი დარჩება პეტერბურგში მხოლოდ რამდენსამე დღეს, წარადგენს მოხსენებას ოსმალეთის მდგომარეობაზე და ახალ ინსტრუქციების მიღებასთანავე დაბრუნდება სტამბოლში. ენახოთ, როგორ გამართლდება ეს სასიამოვნო ხმა. ოსმალეთის დღევანდელ მდგომარეობას, სხვათა შორის, ერთი მისი ოფიციალური წარმომადგენელი ასე ახასიათებს:

გაზ „Bel. Lok. Anz.“-ის კორესპონდენტს ამას წინეთ უნახავს ოსმალეთის შესანიშნავი ლენერალი ფუად ფაშა და სხვათა შორის, აი, რა უთქვამს ამ უკანასკნელს: უარჰყო რა ოსმალეთისათვის ევროპის მსგავსი კონსტიტუცია, ე. ი. წარმომადგენლობითი მმართველობა, ფუად-ფაშამ განავრთოვო: ყველაზე უფრო დიდი ბოროტება წარმოდგება ორი გარემოებიდან: ჯამუშებიდან და სამინისტრო წესწყობილებიდან. ამიტომ ორ გვარი ზომა უნდა იხმარონ: გააუქმონ ჯამუშოება და შექმნან პასუხის მგებელი სამინისტრო. დიან, უპირველესი სიბოროტე ეს ჩვენი მინისტრებია, ყველა ისინი საზიზღარი არსებანი არიან... ჩვენი ქვეყანა სამწუხარო მდგომარეობაში იმყოფება, იმას ყველგენ და არბევენ მოხელე ქურდები, რომელთაც დიდი ხარისხი აქეთ... პირველი ევზირი რისთვის არ წაება და არ ეტყვის სულთანს სიმართლეს? ამაზე ის მოვიგებთ: „მე ვემინია სიმართლის თქმისა, ჩემი ხელმწიფე ამისთვის ან სიკვდილით დამსაჯავს და ან შორს გამგზავნისო“. ტყუის: იმას არ უნდა მხოლოდ დაჰკარგოს გამდიდრების წყარო. არა, მართალი რომ ეთქვათ, სულთანი დანაშაული არ არის; ის შერება მხოლოდ იმას, რასაც მას მინისტრები ურჩევენ. მინისტრების მეოხებითაა, რომ სულთანმა არ იცის: რა არის მენენგელი სახელმწიფოსთვის და რა სასარგებლო. მხოლოდ პასუხისმგებელ სამინისტროს შეუძლია ყველაფრის გასწორება“.

ჩვენ გვესმის ამ სიტყვების გულ-ანდილობა; მეორე მხრით ფუად-ფაშას სრულებით ვერ შეუვინა, რომ ოსმალეთის დღევანდელ წესწყობილებაში პასუხისმგებელ სამინისტროს დაწესება ყოველდღე შეუძლებელია.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.